



დამტკიცებულია
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის
2018 წლის 08 ივნისის
ბრძანება N 2/48

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მიზნით ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი.
2. სამედიცინო პუნქტი განთავსებულია აკადემიის შენობაში და მის მუშაობას წარმართავს ექთანი.
3. სამედიცინო პუნქტი უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელი აღჭურვილობითა და მედიკამენტებით.
4. აკადემია ვალდებულია ექთანის მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოს სამედიცინო პუნქტის პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით პერიოდულად მომარაგება.
5. აკადემია და თავად ექთანი იღებენ ვალდებულებას მედიკამენტების ვარგისიანობაზე; ამისათვის მუდმივად მიმდინარეობს არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვადის გადამოწმება და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ, მათი გამოყენება.
6. ექთანი ავადმყოფის პირველადი გასინჯვის საფუძველზე უფლებამოსილია:
 - ა) თავად აღმოუჩინოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;
 - ბ) გამოიძახოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (112) და ფაქტის შესახებ მოახდინოს პროფესიული სტუდენტის ოჯახის წევრის ინფორმირება.
7. ექთანი ვალდებულია აწარმოოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტების რეგისტრაცია, შეისწავლოს მათი სამედიცინო ისტორია, უზრუნველყოს მათთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტების შესყიდვა, პროფესიული სტუდენტის ოჯახის წევრების საკონტაქტო ინფორმაციის განახლება, პერიოდულად გააკონტროლოს სწავლის პროცესში ამ კატეგორიის პროფესიული სტუდენტების ადაპტირების პროცესი.